დანართი 2

1. თვითშეფასების კითხვარის შევსება სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა სრული, ასოცირებული და ასისტენტ–პროფესორისათვის, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების ხელმძღვანელთათვის.

2. თვითშეფასების კითხვარის შევსება სასურველია უნივერსიტეტში მოქმედი სამეცნიერო გრანტების ხელმძღვანელების, მენეჯერებისა და მონაწილე პერსონალისთვის, რათა მათი საქმიანობა ასახულ იქნას უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის წლიურ ანგარიშში.

3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობა ფასდება სამი კომპონენტის (სასწავლო, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა და მომსახურება) საფუძველზე, რაც აისახება თვითშეფასების კითხვარში.

4. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კითხვარს ელექტრონული სახით უგზავნის ფაკულტეტების შესაბამის სტრუქტურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კითხვარების გავრცელებას და შევსებული კითხვარების დაბრუნებას დადგენილ ვადებში.

4. კითხვარში წარმოდგენილი უნდა იყოს განვლილი კალენდარული წლის ინფორმაცია.

5. აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება შევსებული კითხვარის საფუძველზე. საქმიანობა ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, თუ პროფესორის საქმიანობა ფარავს კითხვარის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევით ნაწილთა სამ-სამ პუნქტს მაინც.

6. უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასების საფუძველზე, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს თითოეული ფაკულტეტის (ინსტიტუტის, დეპარტამენტის, კათედრის, მიმართულების, ცენტრის, ლაბორატორიის და ა. შ.) სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ანგარიშს და რეკომენდაციებს სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის შესახებ.

7. უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობის შეფასების საფუძველზე, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში აკადემიურ საბჭოს წარუდგენს თითოეული ფაკულტეტის (ინსტიტუტის, დეპარტამენტის, კათედრის, მიმართულების და ა. შ.) სასწავლო საქმიანობის ანგარიშს და რეკომენდაციებს მისი სრულყოფის შესახებ.